

ზაქარია ფალიაშვილის „მესა“ და კათოლიკური ეკლესია

როგორც ცნობილია მესა – მრავალხმიანი, ციკლური საგუნდო ნაწარმოები კათოლიკური ლიტურგიის ტექსტზე. მრავალნაწილიანი ფორმით ჩამოყალიბდა XIV საუკუნეში. მისი ძირითადი ნაწილებია: კირიე-უფალო, შეგვიწყალე; გლორია – დიდება; კრედო-მწამს; სანკტუს – წმინდა არს; ბენედიკტუს – კურთხეულ არს მომავალი; აგნუს დეი – ღვთის კრავი.

მესა (ფრანგ. messe, გვიან ლათ. missa), ღვთისმსახურება კათოლიკურ ეკლესიაში, წირვა (მართლმადიდებლურ ეკლესიაში შეესაბამება ლიტურგია). ძირითადად სრულდება ლათინურ ენაზე (ვატიკანის II კრებამ (1962–65) ნება დართო ჩატარდეს ადგილ. ენებზე). მას საფუძვლად უდევს რიტუალი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს ღვთისა და პურის ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაქცევის საიდუმლოს. როგორც მუსიკალური ჟანრი, მესა ციკლურ-ვოკალური ან ვოკალურ-საკრავიერი ნაწარმოებია, რომელიც ამ ღვთისმსახურებას (მესას) თან ახლავს. მის ნაწილს კითხულობენ ან წარმოთქვამენ რეჩიტატივით (ლოცვანი), ნაწილი კი საგალობლებია. საგალობლებს, რომლებსაც მესის დროს ყოველთვის უცვლელად ასრულებენ, „ჩვეულებრივი მესა“ (The mass ordinary) ეწოდება, ხოლო საკვირაო ან სადღესასწაულო დღეებში შესასრულებელს – „განსაკუთრებული მესა“ (Missa propria). თავდაპირველად მისი საგალობლები ერთხმიანი გახლდათ, რომლის საფუძველი გრიგორიანული ქორალი იყო. მრავალხმიანობის განვითარებასთან ერთად ზოგიერთმა კომპოზიტორმა პოლიფონიურად დაამუშავა მესის საგალობლები. ალორძინების ეპოქაში მესა მუსიკალური ხელოვნების ყველაზე მონუმენტურ ჟანრს წარმოადგენდა. მისი ძირითადი სტრუქტურა ორდინარულია და შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: 1. Kirie eleison – უფალო შეგვიწყალე, 2. Gloria in excelsis Deo – დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, 3. Credo – მრწამსი, 4. Sanctus – წმინდაო, 5. Benedictus – კურთხეულ არს, 6. Agnus deus – ღვთის კრავი. „ჩვეულებ-

რივი მესის“ ტექსტების გამშვენება ხდებოდა „განსაკუთრებული მესის“ ორიგინალური მონოდიური ან პოლიფონიური (კომპოზიტორის მიერ დამუშავებული) გალობით. თუ ღვთისმსახურებისას „ჩვეულებრივი მესის“ ტექსტი მთლიანად იმღერება, ასეთ მესას „საზემომო“ ან „მაღალი მესა“ ეწოდება, ხოლო თუ ტექსტი სრულად ან ნაწილობრივ იკითხება, მას „დაბალი“, ანუ „მოკლე მესა“ (*missa brevis*) ეწოდება. კომპოზიტორის მესის უმეტესი ნაწილი დაწერილია ორდინარული ტექსტით. ადრეული ნიმუშები თარიღდება XIV ს-ით, მესაში ერთ-ერთი პირველი საავტორო საგალობელი ეკუთვნის ფრანგ კომპოზიტორ გილიომ დე მაშოს (1300–77). XIV საუკუნის ბოლოსთვის „ჩვეულებრივი მესის“ ორდინარულმა ტექსტებმა მუსიკალურ ჟანრებში წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა. უმეტესი მესები დაწერილია *cantus firmus*-ზე (უკვე არსებული მელოდია, რომელიც მოცემულია ერთ-ერთ ხმაში და პოლიფონიური კომპოზიციის საფუძველი ხდება). XVI საუკუნეში ნასესხები მელოდია შეერწყა ახლად შექმნილს, ორიგინალურს და ეწოდებოდა მესაპაროდია. ამ ტიპის მესებს ვხვდებით ჯ. პალესტრინასა და ო. ლასოს შემოქმედებაში. ასევე გავრცელდა მესას პარაფრაზები, სადაც თავისუფლად იყენებდნენ გრიგორიანულ ქორალს. XVII–XVIII სს-ში გავრცელდა მესები საორკესტრო ან ცალკეული სოლირებული ინსტრუმენტული თანხლებით, სადაც ზოგიერთი ხმის შესრულება ევალეობდა სოლირებულ ხმას. ასე გაჩნდა მესას კანტატა. ვენის კლასიკოსებისა და რომანტიკოსების შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ორკესტრს. მესის ჟანრს ვხვდებით XX საუკუნის სტრავენსკის, ლ. ბერნსტაინის, ფ. პულენკის, ა. პიარტის და სხვათა შემოქმედებაში. მათ მესებს შორეული კავშირი აქვთ ღვთისმსახურებასთან ან – საერთოდ არ აქვთ. შვედ კომპოზიტორს – ფ. სიქსტენს დაწერილი აქვს „მესა ჯაზის სტილში“ (1996). 2006 წ. ფინეთის ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიაში პირველად ჩატარდა მესა მეტალიკური მუსიკის თანხლებით. მსგავსი ღვთისმსახურება ფინეთის სხვა ეკლესიებშიც განმეორდა. ამ ტიპის მესას ეწოდა „მეტალიკური“. საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბდა შემდეგი სახის მესები: მესა *cantus firmus*-ზე, მესა პაროდია (მოტეტების, შანსონების, მადრიგალების და სხვათა საფუძველზე), კანონიკური, პარაფრაზი, კანტატა, რეკვიემი (მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი), *missa votiva* (ექსტრაორდინარული, მესა, რომელიც არაა

დაკავშირებული საეკლესიო კალენდართან. მაგალითად, ქორწინება, ომში გამარჯვება და სხვ.), მეტალიკური მესა გვხვდება ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში. საბჭოთა პერიოდში, ცხადია, მესის ჟანრს ქართველი კომპოზიტორები ვერ შეეხებოდნენ, მხოლოდ XX ს. 90-იანი წლებიდან ჩნდება სასულიერო მუსიკის ჟანრები (გ. შავერმაშვილის მ. შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის; 1999).

ქართული მუსიკის ისტორიაში ერთადერთი მესა არსებობს, რომელიც მოიხსენიება როგორც წმინდა მესა.

XIX-XX საუკუნეებს თავისუფლად შეიძლება დაერქვას ქართული კულტურის რენესანსი, რაშიც გამოკვეთილი როლი ზაქარია ფალიაშვილს ეკუთვნის. მისი შემოქმედება ქართული ეროვნული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

ზაქარია ფალიაშვილის მესა, რომელიც კომპოზიტორმა შემოქმედების ადრეულ წლებში დაწერა, ქართულ მუსიკაში მესის ერთადერთი ნიმუშია. ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების განმსაზღვრელი ფაქტორები, მისი სულიერების იმ მნიშვნელოვანი ნაწილის შესწავლა-ანალიზი, რომელიც კათოლიკური წესის მესას უკავშირდება, რაც, გარდა დიდი კომპოზიტორის შემოქმედების შესწავლისა, განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც იძენს ქართული კულტურის მრავალპლასტიანობისა და ტოლერანტობის შესწავლის საქმეშიც; შეუძლებელია, საქართველოს წარსულისა და ისტორიის შესწავლა-ანალიზი საქართველოში მოღვაწე კათოლიკეების გარეშე.

ქართველი კათოლიკეები გამორჩეულნი იყვნენ მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების სფეროშიც. საქართველოს დამოუკიდებლობისა და გასაბჭოების შემდგომ, საბჭოთა საქართველოს ისტორიაშიც, კათოლიკეებმა თავიანთი გამორჩეული როლი ითამაშეს. კათოლიკეები იყვნენ: პეტრე მელიქიშვილი – თბილისის პირველი უნივერსიტეტის რექტორი, იოსებ ოცხელი – ქუთაისის ქართული გიმნაზიისა და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის დამარსებელი, ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი, ზაქარია ფალიაშვილი, პეტრე ოცხელი – ქართული სცენოგრაფიული სკოლის დამაარსებელი, მხატვარი, რომელმაც ათწლეულებით გაასწრო თავის ეპოქას, კათოლიკე იყო პროფესორი სიმონ ყაუხჩიშილი – საქართველოში კლასიკური ფილოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ქართული ბიზანტი-

ოლოგიური სკოლის დამაარსებელი, კათოლიკე გახლდათ ცნობილი ქიმიკოსი ვიქტორ კოკოჩაშვილი. კათოლიკური მრევლის აქტიური წევრი მრავალი ცნობილი ქართველია, სხვადასხვა სფეროდან თუ დარგიდან (ბარდაველიძე 2018, 134).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „საქართველო“ (1920 წლის №113) იუწყება: „კვირას, ღვინობისთვის 3-ში, ქარველ კათოლიკეთა ცხოვრებაში ისტორიულ დღეთ დარჩება. ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც პოლიტიკურ მიზეზების გამო გაუქმებულ იყო მე-14 საუკუნეში, სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ აღსდგა. მმართველად ამ კათედრისა რომის ტახტისაგან წარმოგზავნილი იქმნა მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გაბრიელ მორიონდო.

დილიდანვე თბილისის ქართველ კათოლიკეთა ტაძარი (თბილისის მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების კათოლიკური კათედრალური (სამეუფო) ტაძარი – საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ცენტრალური საკათედრო ტაძარი, რომელიც თბილისის გია აბესაძის ქუჩის 4 ნომერში მდებარეობს.), მოირთო და მოიკაზმა ვარდ-ყვავილ გრეხილებით და ქართულ ეროვნულ აღმებით. შესავალ კარებში ორ ქართველ ეროვნულ დროშის შუა ფრიალებდა დროშა რომის პაპისა, ტაძრის კარის ბჭებზე ვარდ-ყვავილების ჩარჩოში ჩასმული იყო წმ. ნინოს სურათი. დილის 10 საათისთვის თავი მოიყარა მთელმა ქართველ კათოლიკეებმა. ამ დროისთვის მოვიდნენ ტაძარში წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და სამინისტროებისა, სხვა და სხვა უცხოელ სახელმწიფო მისსიების და საპატიო პირთა. სრულ 11 საათზე ტაძარში მობრძანდა მათი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი მორიონდო, რომელსაც შეეგება ადგილობრივი კრებული. ...წირვა შეასრულა ლათინურ ენაზე პატრმა დონ მიხეილ ანტონაშვილმა, სამოციქულო ქართულად ძველ ქართულ კილოზე წაიკითხა გორის პატრმა კონსტანტინე საფარაშვილმა, ხოლო სახარება ქართულსავე ენაზე ქუთათურმა პატრმა დონ დამიანე სააკაშვილმა. წირვაზე მგალობელთა გუნდმა და ორკესტრმა ფალაშვილის ლოტბარობით შეასრულა წარჩინებულად საგალობელნი...“

ფალაშვილი კათოლიკური კონფესიის წარმომადგენელი იყო, ამიტომ ევროპული ღირებულებების დამკვიდრების პროცესი მის მუსიკაში, სხვა თანამედროვე კომპოზიტორებთან შედარებით, უფრო

ინტენსიურია; მთელი მისი შემოქმედება სწორედ ევროპულ მუსიკაში ეროვნულის ადგილის ძიებაა. ზაქარია ფალიაშვილი სრულიად სამართლიანად შეიძლება მოვიხაროთ ევროპეიზმის წარმომადგენლად.

საინტერესოა, აგრეთვე, ზაქარიას ურთიერთობა მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებთან, ამ შემთხვევაში საუკეთესო მაგალითია თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიის წარმომადგენლობა (თბილისის ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძველი თბილისში, რუსთაველის გამზირზე. აგებულია 1904–1910 წლებში ძველი ეკლესიის ადგილზე. ადრე აქ იდგა დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული უძველესი ტაძარი, რომელიც XVIII საუკუნეში ამილახვრების აგებულმა აგურის ეკლესიამ შეცვალა. XIX საუკუნის მიწურულს ისიც დაზიანდა. ქაშვეთის მაშინდელმა წინამძღვარმა, მარკოზ ტყემალაძემ და ტაძრის მესვეურებმა ახალი შენობის აგება გადაწყვიტეს. პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ლ. ბილფელდმა, რომელმაც ნიშუშად სამთავისის ტაძარი გამოიყენა. ფასადის მდიდრული ჩუქურთმა ნეოფატი აგლაძეს ეკუთვნის. ქაშვეთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქის ცენტრის ანსამბლში. 1947 წელს ქაშვეთის ტაძარი ლადო გუდიაშვილმა მოხატა). (ძველი ქაშვეთის ფოტო – საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის არქივი).

მიუხედავად ფალიაშვილების რელიგიური მიმდევრობისა, როგორც მოგახსენეთ, ისინი კათოლიკეები გახლდნენ, ზაქარია ფალიაშვილი აქტიურად თანამშრომლობდა მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომ განევითარებინა საგუნდო/საეკლესიო სიმღერა. ქვემოთ მოცემულია წერილი, რომელიც მამა კონსტანტინეს (საფარაშვილს), ეკლესია მონასტრის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელს, მისწერა ზაქარიამ:

„მამა კონსტანტინეს (საფარაშვილს)–ეკლესია–მონასტრის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელს

დიდად პატივცემულო ბატონო კონსტანტინე!

თქვენგანთ გამოგზავნილი წერილი მივიღე და მესიამოვნა, რომ ამდენი ხანის უნახავებმა წერილებით მაინც გამოვეხმაურეთ ერთმანეთს. იწერებით ჩემი ქართული სიმღერა–საგალობლების შესახებ, რომ მანდაც მოგაწოდოთ. დიდი სიამოვნებით მოგართმევთ და კიდევ

გიგზავნით ამასთან ერთად. ეს ჩემი შრომა შესდგება შემდეგის კრებულებიდან და ცალკე ნომრებიდან:

1. ლიტურგია იოანე ოქროპირისა
2. ქართული სახალხო სიმღერების კრებული – 42 სიმღერა
3. ქართული სიმღერები შემუშავებული (რვა სიმღერა)
4. ორი ქართული რომანსი და
5. აკაკი წერეთლის საიუბილეო მრავალჯამიერი

ეს მთელი ნოტები გამოსცა აქ ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ (რომელსაც ეხლა აქვს თავისი საკუთარი სამუსიკო სკოლა და რომლის გამგეობაც მე გახლავართ) თავისი ხარჯით. მე მოვახსენე თქვენი წერილის შინაარსი გამგეობას და იმათ გადაწყვიტეს, რომ მთელი ამ ჩემი შრომის თითო ეგზემპლარი გამოგიგზავნოთ თქვენ უფასოდ და ამასთან ერთადერთი ეგზემპლარი კიდევ ლიტურგიისა, კონსტანტინეპოლის, ქართველ მამა ხარისჭირაშვილის მონასტრის ბიბლიოთეკისათვის გადასაცემელად. გთხოვთ, ეს ერთი ეგზემპლარი გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

კიდევ გთხოვთ, ეს ლიტურგია მოამზადებინოთ გაისისათვის, წმინდნოს დღესასწაულისათვის, ეკლესიაში საგალობელად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ორღანის აკომპანიმენტით უკეთ გამოვა ეს საგალობლები, მხოლოდ მრწამსში, რომელიც იგალობება, „რეჩიტატივით“, ჩაურთავთ იმ სიტყვებსა, რომელიც არა აქვს ბერძნის ეკლესიასა. ე.ი. „მამისაგან და ძისაგან გამოვალს“. აქ გალობენ ქვაშვეთის ეკლესიაში და კიდევ დიდუბის ეკლესიაშიც. ჩვენი, ე.ი. ფილარმონიული საზოგადოების, ხარჯებით და კარგადაც შეისწავლეს და ასრულებენ კიდევ. სახალხო სიმღერებიც, თუ შემთხვევა გექნებათ, გააცანით ევროპელთა. ამასთან ერთად, გიგზავნით კიდევ ფილარმონიული საზოგადოების წესდების რამდენიმე ცალს. ამ ჩვენს სამუსიკო სკოლაში დღესა გვყავს 175-მდე მოწაფე. ამათში 150-მდე მარტო ქართველია და საქმე კარგად მიდის ჯერჯერობით, თუ რა იქნება შემდეგში, არ ვიცი. მხოლოდ ამ სკოლას, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთ და შუა კავკასიის ხალხისთვის, რადგანაც სწავლის ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდომი არის და ბევრად იაფი, ვიდრემც სხვა რუსულ სამუსიკო სასწავლებლებში.

როგორც ქართველს, ალბათ, გაინტერესებთ, რომ, სხვათა შორის, მე ეს ორი წელიწადი არის რაც დავიწყე წერა პირველი ქართული ოპერისა სახელად „აბესალომ და ეთერი“ (ეთერიანი). თუ ღმერთი შემე-

წია, ამ ბაფხულში მინდა მოვრჩე და გაისად დავდგა მთლიანად. ორი აქტი უკვე დავდგი შარშან და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. ამ ოპერის მცირე შინაარსსაც ნოტებთან ერთად გაახლებთ და როცა მთელს ლიბრეტოს გამოცემე, ამასაც მოგაწოდებთ. მაშ, იყავით მშვიდობით და უვნებლად. გთხოვთ ამ ნოტების და წერილის მიღება მაცნობოდ, რომ დავრწმუნდე, მიგიღიათ ყველაფერი.

ჩემი ადრესი: Въ Тифлиси, Корчаковская улица №6, Музыкальная школа филармонического

общества, Заведующему школы Захарии Пётр Палиеву.

კიდევ მოგიკითხავთ

თქვენი კეთილისმსურველი – ბაქ.ფალიაშვილი.“

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ საეკლესიო საგალობლების გამოცემის თაობაზე, მის დაფინანსებასა და აღიარებასთან დაკავშირებით დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ ისტორიკოს ივანე ჯავახიშვილს (ივანე ჯავახიშვილი (1876 – 1940) – ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი, რექტორი (1919 წლიდან 1926 წლამდე), აკადემიკოსი (1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელი ეწოდა.), რომელიც ფალიაშვილის ერთგული მეგობარი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილს პროფესიული განათლება არ მიუღია, იმდენად კარგად იცოდა ეს სფერო, რომ მას აფასებდა და ენდობოდა ბაქარია ფალიაშვილი. იგი ერთ წერილში ივანეს წერდა: „ჩვენში კარგისა თუ ავის აზრის გამომთქმელად მე თქვენ გაფასებთ უფრო, ვიდრე „დიპლომანტებს“, ანუ, ჩვენ ქართველ მუსიკოსებს“ (ჯავახიშვილი 1953, 14). (ფოტო ივანე ჯავახიშვილისა თსუ-ს არქივიდან)

1907 წელს ბაქარია ივანეს წერილს წერს და უხსნის, რომ მას შეკრებილი აქვს „ქართული საეკლესიო სახალხო სიმღერები“ და მათ დასაბეჭდად თანხას ქართველ თავადაზნაურობისგან ელის. იგი თხოვდა ივანეს, გამოეთქვა თავისი აზრი, რადგან მის სიტყვას ისინი ენდობოდნენ. „თქვენ იმდენად დაინტერესებული ხართ საზოგადოდ მუსიკის კითხვაში და იმდენად განვითარებული, რომ ადვილად შეგიძლიათ გადასწყვიტოთ, ღირს თუ არა ამის გამოცემა“ (ჯავახიშვილი 1953, 14-15).

გამოყენებული ლიტერატურა

- ბარდაველიძე, ნუგზარ. 2018. *საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
Bardavelidze, nugzar. 2018. *Sakartveloshi k'atolik'uri ek'lesiis ist'oriis nark'vevebi*. Tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.
- თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანება. ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის ფონდი. საცავი N1. საფონდო საქმე N37.
Tbilisis meriis muzeუმების gaertianeba. Zakaria paliashvilis sakhl-muzeუმის pondi. Satsavi N1. Sapondo sakme N37.
- საქართველო. 1920. გაზეთი „საქართველო“. N113. 23 მაისი
Sakartvelo. 1920. Gazeti „sakartvelo“. N113. 23 mai
- შავერზაშვილი, გიორგი. 1999. *მესა შერეული გუნდისა და ორკესტრისათვის*. თბილისი: ნაკადული.
Shaverzashvili, giorgi. 1999. *Mesa shereuli gundisa da ork'est'risatvis*. Tbilisi: nak'aduli.
- ჯავახიშვილი, ნათელა. 1953. სახელოვანი მეგობრობა. ჟურნალი დროშა. N5. 14-15
Javakhishvili, natela. 1953. Sakhelovani megobroba. Zhurnali drosha. N5. 14-15

Zakaria Paliashvili's „Mass“ and the Catholic Church

The Mass is a polyphonic, cyclical choral composition based on the Catholic liturgy, developed into multiple movements in the 14th century. Its principal sections include: Kyrie (Lord, have mercy), Gloria (Glory), Credo (Believer), Sanctus (Holy), Benedictus (Blessed is the future), and Agnus Dei (Lamb of God).

This tradition is rare in Georgian music history, as only one piece is called the Holy Mass.

Building on this tradition, the 19th and 20th centuries mark a renaissance for Georgian culture, with Zakaria Paliashvili playing a major role. His work stands as a key achievement of Georgian national culture.

Within this cultural context, Zakaria Paliashvili's Mass, composed early in his career, is unique in Georgian music. The report details the factors that shaped Paliashvili's life and work, with particular emphasis on how elements of the Catholic Mass – its structure, themes, and musical traditions – shaped his spirituality and creative approach. This is important for understanding both his art and the diversity and tolerance in Georgian culture. Studying Georgia's history is incomplete without considering the impact of Catholic communities in the region.

Keywords: *Zakaria Paliashvili, Mass, Catholic Mass*